ასე გაიარა ერთმა თვემ, ამ ხნის განმავლობაში კი კანჯიხი ისე მოარჩა, რომ თავისუფლათ შეეძლო სიარული. კანჯიხმა თუმცა დააპირა თავის ძველ მეგობართან წასვლა, მაგრამ ყაფლანის სიყვარულმა და თხოვნამ გადააფიქრებინა.

ერთ დღეს, დილა აღრიანათ, მურთუხა გამოსულიყო და საქონელს უზვეტდა, ყეფის ხმა მოესმა, გაიხედა და რა დაინახა? ყაფლანა კულ მოდერებული, მედიდურათ მოდიოდა და უკან კანჯიხი მოსდევდა, რომელსაც პირში კვერნა ეჭირა. მურთუხამ წამოიძახა.

— ოი დიდება შენთვის ღმერთო, ეს ძაღლი მორჩენილა? თურმე ამისთვის იკარგებოდა ღამე ჩემი ყაფლანა? მერე რა კვერნა მოაქვს, სამი მანეთი ღირს. მურთუხა ასეთ ფიქრებში იყო, რომ ძაღლებიც მოვიდნენ. მურთუხამ კვერნა გაატყავა, ხორცი მათ დაუჭრა და ტყავი კი ზაქათალას გაგზავნა გასაყიდათ.



ამ დღიდან, კანჯიხმა და ყაფლანამ დაიწყეს მურთუხას მღლი
 ლში ერთგულათ და გულ-მოდგინეთ სამსახური, ერთხელ
 ტყეში გასვლა და თავისუფლათ ცხოვრება დააპირეს, მაგრამ
 კანჯიხის მაკობამ აზრი ჩაუფუშათ. „ხამთარში წვილები სიცი-
 ვით ამოგვიწყდებიანო და აქ კი როგორც იქნება გამოვზრდითო“.

ასე ტკბილათ და ბედნიერათ მიდიოდა მათი ცხოვრება, მაგ-
 რამ კაცმა აქაც გამოიჩინა თავის დაუნდობლობა და მოუსპო.
 ჩვენ ორ მეგობარს სიტკბოება, ერთ საღამოს, მურთუხა თავის
 ცოლ-შვილით სახლის წინ, მსხლის ხეს ქვეშ, მწვანეზე ისხდნენ, სა-
 ლამო მეტათ მშვენიერი იყო, ოდნავი ნიავი საამურათ აშრია-
 ლებდა ხეხილის ფოთლებს, ხანდა-ხან როცა რომელიმე მსხალი
 ჩამოვარდებოდა მურთუხას შვილი წამოიძახებდა:

— უჰ, დედა რამოტელა მსხალი ჩამოვარდა და სიხარულით
 მიაბრუნებდა: „აბა, დედა, ერთი გამიჭერ ვჭამო“.

ყაფლანა და კანჯიხიც არ იყვნენ სიამოვნებას მოკლებულნი,
 ისინიც თავის პატრონის ფეხებ წინ გაწოლილნი და კუდის
 ქნევით შეჰყურებდნენ პატრონს. შორიდან ძახილი მოესმათ. ძალ-
 ლები წამოცვიდნენ და ყვეფით მოჰკურცხლეს იქით, ამათ მურ-
 თუხას ცოლიც დაედევნათ უკან. მცირე ხნის შემდეგ მურთუხას
 ცოლი მოვიდა შინ და მოიყვანა სტუმარი, რომელსაც ძაღლები
 მოსვენებას არ აძლევდნენ და ხან უკან და ხან წინ მოექცეო-
 დნენ ხოლმე. ძაღლების მოგერება მურთუხას ცოლს ისე გაუ-
 ჟირდა, რომ ქმარიც კი მოიშველია.

მურთუხა ძაღლების საქციელს გაჰკვირდა: თავის დღეში ასე
 არ უქნიათ და ახლა რა დამართათო?

მურთუხას ცოლმა გაშალა ფარდაგი და სტუმარ-მასპინძელი
 დასხდნენ. მათ შორი ახლო ძაღლებიც ჩვეულებრივ წამოწვნენ
 და დაუწყეს პატრონს ყურება.

როდესაც სტუმარ მასპინძელმა გააბეს ლაპარაკი, ყაფლანამ
 ყურში წასჩურჩულა მეგობარს: „იცი რა გითხრა, მეგობარო,



აკვირდები ამ კაცს?“ ეს კეთილი სული არ არის, მე იმით არ დავესხენ და ჩხუბით მოვაცილე შინამდის, რომ სულაც არ მინდოდა მაგის აქ შამოშვება, მაგრამ რა გეწყობა ბატონის ნებას? რაც მაგ კაცმა დამართოს მურთუხას ჩვენი ბრალი არ იყოს.

— ჰოი, და და და რა საშიშარი თვალები აქვს? ღმერთო დამიფარე, თითქო ცოფიანიიაო, ისე აბრიალებს... აბა შუბლს უყურე, რა საშიში შეხედულება აქვს... დასწყევლა, კბილები მგელივით არა აქვს დაღესილი? ამ დროს კანჯიხმა დაამტქნარა და დაუწყოს სიამოვნებით ყურება იქვე კრუხს, რომელიც ხან ერთ წიწილს უმარჯვებდა საკენკს და ხან მეორეს. ყაფლანამ წინა თათი აიღო და ჩაჰკრა აღერსის ნიშნათ კანჯიხს თავში:

— უყურე, უყურე, თუ ღმერთი გრწამს, რასა ჰგავს, თითქო მაგ არამზადას თავის დღეში წყალი არ უნახავსო, ისე აქვს თავპირი შებუმბლილ-შეთითხნული, ეგ უეჭველია ან ტყის კაცი უნდა იყოს, ან კიდევ ვინმე ყაჩაღი.

— მართალს ამბობ, ცალ ხელს ხანჯალს არ აშორებს, თითქო ამოღებას აპირებსო, რა საშინელებაა თქვენი ჭირიმეთ, ეგ აქ სასიკეთოთ არ იქნება მოსული.

ორი მეგობარი ასე ლაპარაკობდნენ, რომ ნიავემა ჩვეულებრივზე მძლავრათ დაუბერა და შეაქანა ხეები, მოსწყდა ერთი მსხალი და სტუმრის წინ დაეცა, სტუმარმა აიღო, რა ნახა ცალი მხარე დამპალი ჰქონდა, ესროლა კანჯახს და თავში მოარტყა, ამაზე ყველამ გაღიხარხარეს; კანჯიხმა შეჰყეფა, წამოხტა, უნდა სცემოდა, მაგრამ მისმა ჯოხმა უკან დაახევინა.

— აკი გითხარ მეგობარო, რომ ცუდი კაცია მეთქი, წახიურჩულა ყაფლანამ, დაამტკიცა თუ არა?

— მოგიკვდეს კანჯიხი თუ ეგ არ გაკენწლოს!

ეს სთქვა და გასწია ჭიშკრისაკენ, საცა მაყვლის ბარდები ეგულებოდა და ჩაიმალა.

— მეგობარო მაგ განზრახვას თავი დაანებე, ცოფიანსიღა მღე


ერიდო და არა ზედ წააწყდე, თუ გიყვარვარ, თავი დაანებე, თან რომ ვე ბოროტი კაცი რამეს აგიტებს, ნუ ჩასდგები ჩემ ცოდვაში, მეორეთ ნულარ დამაობლებ. ყაფლანა ასეთ ხვეწნაში იყო რომ სტუმარი წამოდგა, გამოემშვიდობა მასპინძლებს და გასწია ჭიშკრისაკენ, იგი მიახლოვდა თუ არა ბარდებს, კანჯიხმა ისკუბა და გადულობა გზა, მაგრამ კაცმა მოასწრო და ხანჯალი ამოიღო; კანჯიხმა უკან გამობრუნება ვეღარც კი მოასწრო, რომ ბოროტმა ხელმა მას კუდი გააგდებინა. გამწარებული კანჯიხი მძლავრათ შეეტაკა და ის იყო უნდა სცემოდა სახეში რომ ხანჯალმა მეორეთ გაიელვა და საბრალოს წინა ერთი ფეხი წააგდებინა.

— ახლაკი დატრიალდა ბედის ჩარხი უკუღმა, სთქვა ყაფლანამ და დაიწყო ღმუილი; რომლის მოთქმასაც მთა და ტყე ბანს აძლევდა.

გადიოდა დღეები და მურთუხას დღითი დღე ემატებოდა სიძულვილი კანჯიხისადმი, ცალკე ცოლი არ აძლევდა მოსვენებას: „მოიშორე ე კოქლი ძალი ჭამის ფასს რას გიკეთებსო“, მოთმინებიდან გამოსულმა მურთუხამაც აიღო თოფი და ესროლა კანჯიხს, კანჯიხი მოკვდა, დარჩა ისევ მარტო ყაფლანა და მწუხარებით იგონებდა:

„მეგობარო, აკი გეუბნებოდი: როცა სასარგებლო ხარ — კარგი ხარ და საყვარელი. ამ ნაირათ ყაფლანას მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა, ის აღარც ჰყვებდა და აღარც ნადირობდა. იგი დღე და ღამე ეგდო და ეძინა, თუ ოდესმე ხმას ამოიღებდა, ამასაც ღმუილით. მურთუხას მობეზრდა, შეეჯავრა და მუდამ დღე სცემდა, ასე სიცოცხლე გამწარებულმა ყაფლანამ, ვეღარ გაუძლო ამოდენა უსამართლოებას, გადიკარგა ტყეში და იქ შიმშილით ამოირთო სული.....“

დ. ნინოშინდელი.



„მეი, სინარგემ წამწყვილა!..“

(ზღაპარი)

I



ერთ დილას, როცა დიადი
 მზე გამობრწყინდა ცაზედა
 და ოქროს ჯილა დაადგა
 ამ ჩვენ ქვეყანას თავზედა.
 სახლის წინ, ფართო ეზოში
 დათამაშობდა ილიკო,
 ცხრა-ათის წლისა ყმაწვილი,
 დედის ნუგეში, სულიკო.
 ხან იას ჰკრეფდა, ხან ვარდსა,
 ხან ქრელი პეპელას დასდევდა,
 ხან ბურთს გაჰკრავდა და უკან
 თავ-გამოდებით მისდევდა...

ამ დროს, ეზოში, ხის ტოტზე
 შემოჯდა ჩიტო—მერცხალი
 და ჩვეულებრივ დაიწყო:
 ჭიკჭიკ-ჟღურტული ცოცხალი.
 ილიკომ უცბათ ქვას ხელი
 დაავლო, გაუსრიალა;
 ნასროლი მოჰხვდა ფრთაზედა,
 ფრთა მოტყდა, დაიფრთხიალა,
 მაგრამ ვერ შესძლო გაფრენა,

დაბლა დაეშვა ფართხალით,
და ჩვენი გმირიც იმ წამსვე
მივარდა სიცილ-ხარხართ,
ხელი წაავლო, შეიპყრო
სახლისკენ გაარბევინა
და თვისი ნანადირევი,
დედამისს მიურბევინა.

დედამ რა ნახა, ეწყინა,
თითქმის ტირილიც დაიწყო!
შვილს გაუჯავრდა, გაუწყრა,
და როცა გული მოიძლო,
უთხრა: „ეს არის ქათამი
მარიამ დედოფალისა*),
ვინც ამას ავნებს, ღვთისაგან
შეჩვენებული არისო!“
და მყისვე, მერცხალს, ნატკენი
ფრთა შეუხვია ძაფითა,
უვლიდა, წამალს ადებდა
დილა-სალამოს ბამბითა.
როდესაც მორჩა, გაუშვა,
გაჰფრინდა გახარებული,
მაგრამ უკანვე მოჰფრინდა
წამსვე, ვით დაბარებული,
თან მოუტანა ნისკარტით,
თავის მხსნელს, კვახის მარცვალი,
უთხრა: „ჩააგდე მიწაში

*) იმერეთში მდებოდა ხალხს სწამს, ვითომ მერცხალი მარიამის ქათამი იყოს. როცა პირველათ ნახავს, ეკითხება: „მერცხალი ბატონო, ინდოეთიდან მოსულო, მარიამ დედოფალი როგორ არისო?“.



ეს ერთათ-ერთი მარცვალი:
 ამოვა, აყვავილდება,
 მოიბამს ერთ დიდ-კვახსაო,
 როცა დამწიფდეს, გასქერი,
 ჯილდოს მიიღებ კარგსაო!“
 და თვით ისევე გაჰფრინდა
 ის მადლიანი ფრინველი...
 გაკვირდა ჩვენი, მაია,
 ამ სასწაულის მხილველი.
 დათესა, ნახა ზაფხულში,
 ზედ დიდი კვახი ასხია,
 მოსწყვიტა, გაჰსჭრა და ჰხედავს
 თვალ-მარგალიტით სავსეა!
 სთქვა: „თურმე კაცსა სიკეთე
 არ დაეკარგვის არსადო.
 ვინც რას დათესავს, იმასვე
 მოიმკის ერთსა ასადო:“

II

ეს საარაკო ამბავი,
 ირინემ, როცა შეიტყო,
 (ჩვენი, მაიას, მესაზღვრე
 და მეზობელი ეს იყო).
 იმ წამსვე გულში იფიქრა:
 მეც ასე მოვიქცევიო
 და მალე, მაიასავით,
 მდიდარი გადვიქცევიო!
 ჯერ დაიჭირა მერცხალი
 და ფრთა მოტეხა ძალათა,

მერე შეუკრა, დაუწყო
მოვლა, წამლობა ფრთხილათა!
როდესაც მორჩა, გაუშვა,
მაგრამ სასყიდლათ იმისა,
რომ მოარჩინა, მოთხოვა
ერთი მარცვალი კვახისა!

— მოგართმევ, უთხრა მერცხალმა,
და მართლაც გამოუგზავნა...
ჰხარობს ირინე, ჰგონია
გულით რაც სურდა იშოვნა!
დათესა, ნახა ზაფხულში,
ზედ დიდი კვახი ასხია,
მოწყვითა, გასჭრა და ჰხედავს
სულ მთლათ გველეზებით სავსეა!..
შეკრთა. სთქვა: „ვაი, სინარბემ
წამწყმიდა, ვხედავ თვალითო,
გულში მკრა ცოდვის ისარი,
ნასროლი ავის ხელითო!“

ვ. რუნძე.



ტასიკოს მამაცობა


(გუძდენი ღარიკო ქობელიძისას)



ამის ორ საათზე სოფელ სა—ში არჩილ ჩომახიძის სახლში ერთ ზაფხულს დიდი ალიაქოთი და მოძრაობა შეიქნა. არჩილი გულის ძილში რეტრიანივით წამოხტა და ერთი შეპკივლა:—ვაიმე ცოლ-შვილი მეღუპება! მიწა ძალიან ინძრა და თანაც წაბარბაცდა, —ვაი შენს მტერს რომ ჩემმა დაფუტურებულმა სახლმა ეს შესძლოსო!

მთელი სახლის კედლები ისე ინძრეოდნენ რომ თითქო ქანაობსო.

— ქეთევან, ჩქარა მიშველე, შენი ღედაკაცობის ჭირიმე, თორემ ბავშვები შეშინდებიან. თქვენი ჭირიმეთ შეილგებო! არჩილმა სასწრაფოთ ყველა შვილები გააღვიძა, ერთ წამში, როგორც მოასწრეს, ჩაიკვს და ძირს მინდორში ჩაცვივდნენ. დიღხანს გონს ვერ მოსულიყვენ... ოთახის სინათლის შემდეგ, ერთხანათ, ვიდრე თვალი შეეჩვეოდა თითქმის ვერც კი არჩევდნენ ერთმანეთს, მხოლოდ იმას კი ყველა გრძნობდა რომ ფეხი მიწაზე მიდგია და თავზე აღარაფერი ჩამომენგრევაო. შექდეგ თანდათან დააკვირდნენ იმ ღამის შვენიერ დაწყნარებულ ბუნებას, თითქო



იმისათვის სრულებით შეუმჩნევლათ გაიარა ამ მოვლენამო; ნების ჩარხი ისევ თავისებურათ ტრიალებდა, შეუცვლელათ ასრულებდა თავის მოვალეობას; თითქო ფიქრობდა:—რა უყოთ რომ სადღაც ერთ ადგილას დედამიწის სარქველი შეინძრაო. მართლაც და იმ ღამეს შესანიშნავი შევნიერი, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა იყო. უმრავლეს ვარსკვლავებთა შორის შევნიერათ გამოსკვიოდა ვენერა. მის ნაზ სხივებს კაცი თვალს ვერ აშორებდა

არჩილის ოჯახობას თითქმის ოცდა ორი სული შეადგენდა: რვა შვილი სულ ერთი მეორის მიმდევნო წვრიმალი, ერთიც მთლათ ობოლი (უდედამამო) დისწული, თავისი და, ცოლის დები, (მათ შორის ერთი ცოლის და ძალიან სწეული იყო) ბავშვების მასწავლებელი გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფე და ახლა ამათ დაუმატეთ კერძობა.

სოფელი სა—ში ტრიალი მინდვრისაგან შესდგება, მთელი სოფელი ხელის გულსავეთ გაშლილი ბარია და ახლო მახლო პატარა გორაკებიც კი არსად მოჩანან. სა—ში ჩომახიძის ოჯახობის მეტი აზნაურთაგანი არავინ არის; გლახობა სოფელზე და არჩილის სახლზე მოშორებულნი ცხოვრობენ; მათი მიწური სახლები ერთი მეორეზეა მიკრული და კალოებიც ერთმანეთზე გადაბმული. უცხო კაცმა იქ რომ ღამე გაიაროს, თუ ძაღლებმა არ დაიყეფეს და ბანებიდანაც არ გამოჩნდა სინათლე ან კომლი, მაგზერი სწორეთ ვერ მიხვდება რომ იქ ხალხი ცხოვრობს ისე მიწასთან არის გათანასწორებული იმათი სადგომები, იმათვე უბანში ახლო სამთელიანი წისკვილიც ბრუნავს დღე და ღამ შეუყენებლივ, მაგრამ არჩილის სახლამდის კი არ აღწევს მისი ბარბლების რახა-რუხის ხმა და ჰაერშივე ჰქრება.

ჩომახიძის მალალი ორ სართულიანი სახლი შიგ შუა სოფელშია ამართული, გარშემო სახლს კარგა დიდი მინდორი აქვს შემოღობილი ფიცრის მესრებით, ეზოს ერთი მხრივ ყოველივე საოჯახო მოწყობილებაა გამართული: თონე, საქათმე, ბოსელი და



სხვა... ერთი დიდი ეტლიც შუაგულ ეზოში დგას. სახლიდან გზის ნაპირამდე—თითქმის ვერსს ნახევარზე, ორივე მხრივ დიდი ქანდრის ხეებია ჩაწკვილილი რუსის ჯარივით. გზის პირზე წყალიც ჩამოდის, წყლის ერთ ნაპირზე დიდი ხეა, რომლის ტოტს უწევნია და ისე ჩამოწოლილა ძირს, რომ წყლის მეორე ნაპირზე გადასულა, იმ მეორე ნაპირიდანაც აზრდილა ტოტი და ხეთ გადაქცეულა; თითონ ბუნებას ისე მოუწყვია, თითქო კაცის ხელით არის გაკეთებული წყალზე ხადიო, ყოველი მგზავრის ყურადღებას იქცევს ეს ბუნებისაგან ნამუშავარი ხიდი. არჩილის სახლი, რომელსაც მარჯვნივ მხრივ თავ მონგრეული კოშკიც აქვს მიდგმული—ძალიან ძველი ქვეთკირის შენობაა, კიბეც კი ოცდახუთი საფეხურით სიძველისაგან ზოგან დაფუტუროვნებულიყო და ფეხის დადგმის დროს ინძრეოდა.


— სოფო, მარო, კატოჯან—ყველანი ახლო მივეკრათ, თქვენც ჩვენსკენ ახლო მოიწიეთ: მიტო, სანდრო და შალვა, თუ კიდევ ინძრა მიწა ისე ძალიან აღარ შეეშინდებით რაკი ყველანი ერთათ ვიქნებით.

— ჩვენს ბედზე ეს ეტლიც რა დიდი და განიერია, ეუბნებოდა თოთხმეტი წლის ობოლი ტასო ჩომახიძის ბავშვებს.

— ღმერთო ჩემო! რანაირათ შეემშინდა, ტასიკო, მამამ რომ გამომაღვიძა, სწორეთ მეგონა ჩვენს ბანზე დიტვირთულმა ფურგუნმა გაირბინა მეთქი, კანკალით ამბობდა ცხრა წლის სოფიკო.

— მე კი მეგონა ქვემოდან რაღაც გრიალის ხმა მოისმის მეთქი, სიტყვა ჩამოართვა მეორედამ, მარომ, თერთმეტი წლის ბუტკუტუნა გოგონამ, თან ლაპარაკის დროს უფრო ახლო ეკროდა ტასოს.

— აბა, რასა ლაპარაკობთ, უპასუხა ტასომ,—ძია არჩილმა ისე სასწრაფოთ გაგაღვიძათ და ჩამოვასხათ მინდორში, რომ თქვენ ვერაფერს იგრძნობდით;



— ლმერთმანი ტასიკო, მანამ ჩავიცვამდი თითქმის სახლი ხელახლა. ტასო, ჩემო კარგო ტასო, თუ გიყვარვარ გვიამბე ქვემოთ მიწაში რა ამბავია, კიდევ ისე რომ ინძრას ხომ შეიძლება შიგ, ძირს ქვესკნელში ჩავცვივდეთ? ტასო შენი ჭირიმე მართალი გვითხარი ჩავცვივდებით? შენ რამდენ კარგ ამბავს გვიამბობ ხოლმე და უსათუოთ ესეც გეცოდინება, ყელზე გადახეული მარო ეხვეწებოდა ტასოს.

ამ ლაპარაკის დროს იქვე ეტლთან იდგა ბავშვების მასწავლებელი გრიგოლი. — რაკი აგრე გიჩერესებათ, ტასოს მაგიერათ მე აგიხსნით რისაგან წარმოსდგება მიწის ძვრა, უპასუხა გრიგოლმა. ტასომ აღტაცებით წამოიძახა,

— ძალიან კარგი იქნება, დიდის მადლობით მოვისმენთ.

— გენაცვა მარო ეს ჩემი შალი დაახურე მიტოს, თორემ რიყრაჟობს და შესცივდება, თანაც ტასომ თავისი შალი გადასცა მაროს. თანდათან ვარსკვლავები ჰქრებოდნენ ცაზედ, მხოლოდ ერთი მოციმციმე ვარსკვლავი მაინც თავის შევენებას არ ჰკარგავდა, ნელ ნელა სინათლეც ეპარებოდა დამშვიდებულს ბუნებას.

— აი, ჩემო მეგობრებო, — დაიწყო სიამოვნებით აღკურვილმა გრიგოლმა, — მიწა შესდგება რამოდენიმე ნაწილისაგან: ნაწილ-ნაწილ ერთი-ერთმანეთზე არის დაწყობილი. ეი ნაწილები ერთმანეთს ქვემოთ დაქვემოთ უფრო დიდი სიძიძით აწვებიან მიწას და ერთმანეთს მუდამ ეხახუნებიან, რომლის გამო ჯერ სითბო და მერე ცეცხლი ჩნდება: ამას გარდა დახეთქილი მიწის ზემოთ პირიდან უთვალავი წყლის ცვრები, გაზები ეწვეთებიან ქვემოთ. მიწის ნაწილების ერთმანეთის ხახუნი და ზემოდან წყლას ჩანადენი სისველე იწვევს მხურვალებას და ცეცხლს, ამისათვის როცა ძალიან ბევრი ძალა სიცხისა და გაზებისა ერთს ალაგას არის შეჯგუფული ველარ ჩერდება დიდ-ხანს და სადმე ამოხეთქამს ხოლმე. ვიდრე ამოხეთქამს სადმე იმ შეჯგუფულ ძალას შიგნიდან შფოთვა და გრიალი გააქვს



და აი მიწა იმისათვის ინძრევა ხოლმე, ზოგჯერ მთელს ქვეყანას ჩანთქამს, ზოგჯერ ცეცხლის ალი და ნაპერწკლები ამოესკდება მიწიდან, რომელსაც ამოზდევს დიდი ქვეები ამ შემთხვევაში ახლო-მახლო ალაგებს სულ მიწასთან ასწორებს.

საზოგადოთ მიწის ძერა ძალიან ხშირია მთიანსა და მაღალ ალაგას, სადაც ბევრი სიმდიდრეა მიწაში: ნავთი, მადნეული, სამკურნალო წყლები და სხვა...

ამ ლაპარაკის დროს საშინლათ შეირყა ეტლი და ბავშვები ერთმანეთს ეცნენ, გრიგოლი რომელიც ფეხზე იდგა და ერთი ნიდაყვი ეტლის თავზე ჰქონდა დაბჯენილი ისეთი შებარბაცდა, რომ კინალამ ბავშვებს გადააწყდა შიგ ეტლში. ამ დროს საშინელი გრიალის ხმა მოისმა და ერთი კედელი ჩომახიძის სახლისა მთლათ ჩამოწვა.

იმ დროს კი საცოდავი ნანო ყველასაგან დაეიწყებულ — იმედ გადაწყვეტილი ნახევრათ დანგრეულ სახლში იჯდა პატარა ტახტზე მოკრუნჩხული. შიშით თრთოდა და თავის თავს სტიროდა. წარმოდგენაც კი არ შეეძლო რომ ვინმე ქვეყანაზე ისეთი სულდგმული გამოჩნდებოდა, რომელიც გაბედავდა იმ საშინელ დაფუტურებულ კიბეზე ასვლას მეტადრე მას შემდეგ, რაც ერთი კედელი სულ მთლათ ჩაინგრა. ეს ყოველივე უკვე მოისახრა სნეულმა ნანომ და მიმართა ლოცვით და ვედრებით ყოველთა მანუგეშებელ ღმერთს და იმას-ღა შესთხოვდა, რომ ევატიებინა მისთვის ყოველივე შეცოდებანი. ტასო საშინელი მშინშარა და მხთალი ხასიათის ბავშვი იყო, მაგრამ უცბათ მოაგონდა თავისი დაკუთებული სნეული დეიდა, თვალი გადაავლო მინდორში მყოფ ჩომახიძის ოჯახობას და არც აქ დაინახა, წამსვე მამაცათ გადაიქცა, შიშის ნაპერწკალიც კი აღარ მოიპოვებოდა ამ უმათ გულკეთილ ტასოში და თვალის დახამხამებამდე იმ დაფუტურებულ კიბეზე მიფრენაძდა.

ტასოს ისეთი სიამოვნების და ჭნეობითი ძალა ჰქონდა მინი-

ჭებული, ისეთი ტკბილი და ალერსიანი ბავშვი იყო, რომ როგორც კი დაელაპარაკა თავის დეიდას მას მაშინვე მოუღობა გული. ყველას აპატივა შემთხვევათი უყურადღებობა და მართალია ტასოს საყვედურით უპასუხებდა, მაგრამ ალერსის საყვედური უფრო იყო ვიდრე წყრომისა.

— ვაიმე, ჩემო კარგო დეიდაჯან, აქ მარტო რასა ზიხარ და სტირი, განა ვერ შეიძელ ჩამოსვლა ამ უბედურ კიბეზე?

— შენი ჭირიმე, ჩემო ანგელოზო, შენ როგორ გაბედე აქ ამოსვლა. შენ გენაცვალე, მე ვის რათ უნდივარ, ან ვის გამოვადგები, დეე აქ ამ კედლებმა ჩამოქან და ყველა გაგანთავისუფლოთ ჩემი მოვლისაგან, ყველას გაწვალე და გტანჯამ...

— ნუ შენი ჭირიმე დეიდაჯან, ეგრე რათა ლაპარაკობ: ძალიან კარგი ხარ და ყველასაც გვიყვარხარ, მიკვირს რა დაგვემართა, ან ძია არჩილს როგორ მოუვიდა, რომ შენ დაავიწყდი, მაგრამ ყველა ისე შევეშინდით რომ ბევრხანს გონს არ მოვსულვართ. კმარა, კმარა ჩემო კარგო დეიდაჯან, ნულარა სტირი, გულში ჩაკრული ტასო ჰკოცნიდა დეიდა ნანოს და ევედრებოდა წაჰყოლოდა. შენი ჭირიმე ჩქარა ჩავიდეთ, დროს ნუ ვკარგამთთორემ, ვაი თუ კიდევ ინძრას და მთლათ სახლი დაინგრას. ეიშ დედა! რა საშინელება რამ ყოფილა მიწის ძვრა.

— აი, ჩემო ანგელოზო წამიყვანე თუ შესძლებ ჩემს ზიდვას.

სნეული დედაკაცი, რომელსაც ფეხის გადადგმაც ეძნელებოდა მძიმეთ დააწვა ტასოს მკლავზე. ტასოს ხელ-გადახვეული ფთხილათ და ქშენით ნელ-ნელა ჩამოჰყავდა თავისი დეიდა კიბეზე, მაგრამ რამდენ საფეხურსაც ფეხს დაადგამდენ, იმდენი ფეხ-ქვეშ თითქო მიწა ეცლებოდათ. ტასოს გული საშინლათ ურაკრავებდა და წკრიალით ოფლი ჩამოსდიოდა — მთელი სხეული უტახცახებდა შისისაგან ცალკე და მძიმე ტვირთის ზიდვისაგან ცალკე. ბოლოს თითქმის ორი საფეხურიღა რომ დარჩათ, დეიდამ უთხრა:

— შვილო, შევისვენოთ თორემ აღარ შემიძლიან საცაა და ვეცემი.

— არა ჩემო დეიდაჯან, არ შეიძლება კიბეზე შეჩერება. ვაი თუ კიბემვერ შეგვიძღოს ბევრ ხანს და ჩატყდეს, ხომ ატყობ როცა ფეხს დავადგამთ რა რიგ ფანფაღებს.

როგორც კიბე ჩამოსთვალეს და მინდორში ჩამოვიდნენ, ერთი საშინელი დაიხრიალა და სულ ერთიანათ ორი ოთახი დაინგრა, იმ ოთახის ერთი კედელიც არ დარჩა, სადაც ნანო იყო და კიბეცისე ჩაიფუშა, რომ მთელი ფიცარიც ველარ გამოიჩრჩოდა.

მთელი ჩომახიდის ოჯახობა გულ შემოყრილ ნინოს გარშემო ეხვეოდა საშინელის წივილ-კივილითა; ბევრი ღონის ძიების შემდეგ ნანოს წინ დაჩოქილმა ფერმიხდილმა ტასომ მხიარულათ შეჰყვირა: — ბქვენი ჭირიმეთ, ხედამთ თვალები გაახილა დეიდამ.

რამდონიმე წამის შემდეგ კიდევ წამოჯდა ნანო და მადლობის ნიშნათ გულში ჩაიკრა ტასო და ეჩურჩულებოდა.


— ჩემო კარგო, ჩემო მფარველო ანგელოზო, რა კეთილი ხარ!

მარამ დემურქასი.




შურის ძიება

(რუსულიდან)



ობის დღესასწაულების შემდეგ ჩვენ მოგვივიდა სუფთა წერის ახალი მასწავლებელი — პავლე პეტრესძე მილენსკი და პირველ დღიდანვე ჩემსა და იმას შორის ჩამოვარდა არა სასიამოვნო განწყობილება. შუა ტანისა, თავზე ხშირი, კარგათ დავარცხნილი თმა, ლურჯი, გამორეცხილი თვალები, გამხდარი ლოყები და კობიჭივით ამომჯდარი ცხვირი, აი გარეგანი მისი შეხედულობა. ტანზე ეცვა გრძელი სერთუკი, რომელიც ძალიან უშნოთ აღდა. შემოვიდა თუ არა კლასში, მოგვთხოვა რვეულები და ყველას ნაწერი გადაათვალიერა. უნდა სიმართლე ვთქვა, რომ კლასში მე პირველ შევირდათ ვითვლებოდი. სწავლა მიყვარდა და მეადვილებოდა კიდევ. მასწავლებლებსაც ვუყვარდი, მარჩვედენ სხვა მოწაფეებისაგან; არც ერთ ჩემს მასწავლებელთაგანს ფიქრათ არ მოუვიდოდა, რომ მე ოდესმე გაკვეთილი არ მცოდნოდა. არ მახსოვს, რომ მათგან რაიმე შენიშვნა მიმეღოს. ყველა ამან უიმისოთაც თავ-მომწონეს, ერთი-ორათ გამიდიდა თავმოყვარეობა. და აი პირველ გაკვეთილზედვე პავლე პეტრეს ძემ გაშინჯა თუ არა ყველას რვეულები, აიღო ხელში ჩემი რვეული, დაუწყო ფურცლებს შლა და სთქვა: აი ყველაზე უმგზავსი ნაწერი, ვინ არის



ამის პატრონი?—მე ვიჯექი პირველ სკამზე და ძალიან ვხედავდი, რომ ლაპარაკი ჩემ რვეულზე იყო. მე წამოვდგე და ცოტა არ იყო გაკვირვებით, როგორც უჩვევი ამ გვარ შენიშენისა, ვუბასუხე:

— რით არის უმგზავსი?

— სწორეთ უმგზავსი ნაწერია, ხედავთ როგორა გაქვთ დასმული ასოები: ერთი სწორეთ, მეორე გვერდზე, ასე არ შეიძლება, ყველა თქვენი ამხანაგები თქვენზე უკეთ სწერენ.—პავლე პეტრეს ძემ, რასაკვირველია, არ იცოდა, რომ იმის წინ პირველი შეგირდი იღვა, თორემ ასე სასტიკათ არ დაიწყებდა ლაპარაკს. ეტყობოდა, რომ თავის საგანს—სუფთა წერას, ძალიან მალა აყენებდა. რაც შემეხებოდა მე, არ თანავუგრძნობდი მის აზრს; დარწმუნებული ვიყავი, რომ დიდი მნიშვნელობა არა ჰქონდა ასოების ლამაზათ დასმას. იმასაც ვხედავდი, რომ ბევრი მასწავლებელი, რომელთაც მე განათლებულ ადამიანებათ ვრაცხდი, სწერდენ ისე, რომ სრულებით არაფერი გაირჩეოდა. მე თავი მალა ავიღე და ვთქვი: ასოების ლამაზათ დასმას არაფერი მნიშვნელობა აქვს.

— რათ გგონიათ, რომ არაფერი მნიშვნელობა აქვს?

— იმისთვის, რომ როგორც უნდა დავწერო სულ ერთია, ოღონდ მისი გარჩევა შეიძლებოდეს.

— მაშ რისთვის არის დაწესებული სუფთა წერა?

— იქნება სხვებისთვის ჰქონდეს მნიშვნელობა სუფთა წერას, ჩემთვის კი არა!..

— მე არაფერი საბუთი არა მაქვს, თქვენ სხვებიდან გავარჩიოთ, ჩემთვის ყველანი ერთნი ხართო,—მითხრა წყნარათ მასწავლებელმა.

— ეგ როგორც გნებავდეთ, ვუთხარი მე ახლა ბრაზ-მორყულმა და დავჯექი. თქმა აღარ უნდა, რომ ამ დღიდან მე ვთვლიდი ახალ მასწავლებელს სუფთა წერისას ნამდვილ ჩემ მტრათ. მართა-

ლია, მე საძაგლათ ვწერდი, მაგრამ მაინც კარგ ნიშნებს ვიღებდი; სახეში მიღებული ჰქონდათ, რასაკვირველია, ჩემი სასუკეთესო სწავლა ყველა სხვა საგნებში. მასწავლებლის შენიშვნა იამათ ჩემს ზოგიერთ ამხანაგებს, რომელნიც შურის თვლით მიყურებდნენ პირველობისათვის და ესეც კმაროდა, რომ მე არ მეპატივებინა მილენსკისთვის ეს შენიშვნა. გადიოდა დრო და მილენსკის გაკვეთილები ჩვეულებრივით მიმდინარეობდნენ. მე სრულებითაც არ ვცდილობდი გამეუმჯობესებინა წერა. მასწავლებელმა უკვე იცოდა ჩემი პირველობა, მაგრამ ის ამას ყურადღებას არ აქცევდა, გულ-მოდგინეთ რვეულის ყველა გვერდზე ორებს („დვოიკებს“) ამწკრივებდა.

— მე აშკარათ ვხედავ, რომ თქვენ არ გინდათ კარგათ სწეროთ, თორემ შეგიძლიანთ კი და ამისთანა საქციელი შეგირდისა საქებური არ არის! — მითხრა ერთხელ პავლე პეტრეს ძემ. ის მართალი იყო: სუფთა წერა ისეთი ძნელი არ არის სრულებითაც, რომ არ შემძლებოდა ცოტა-ოდნათ მაინც წინ-წაწევა, მაგრამ ჩემი თავმოყვარეობა იყო შელახული და ეს კმაროდა... ერთხელ დამიძახა ზედამხედველმა თავის ოთახში და მეგობრულათ დამიწყო ლაპარაკი:

— ხედავთ, მე მეძნელება იმის თქმა, რომ ცუდი ნიშანი გაქვთ სუფთა წერაში და ამას მნიშვნელობა ექნება ბოლოს... მოსამზადებელი კლასიდან დაწყობილი პირველ შეგირდათ ითვლებით და ჩემთვის ძალიან საწყენი იქნება, რომ იძულებულნი ვიყუეთ დაბლა დაგწოთ.

— ვცდილობ, რაც შემიძლიან, ვუბასუხე მე; ამასთან, თვლებში შეხედვით ყველა შემატყობდა, რომ სიცრუეს ვამბობდი.

— შეიძლება... მე მინდა დაგერწმუნოთ თქვენ, — მითხრა უფროსმა, — მაგრამ მასწავლებელი კი სხვა აზრისაა.

— პავლე პეტრეს ძე უსამართლოთ მექცევა, მემტერება, — წამოვიძახე უცებ.



— გემტერებათ? საბუთი გაქვთ დაამტკიცოთ?

• — იმას ჩემს წინააღმდეგ რაღაცა აქვს.

— აი, რა არის! მაშ აბა მე თვითონ ვნახავ თქვენ რვეულებს — სთქვა უფროსმა და მოატანიდა მაშინვე რვეულები და დაუწყო შინჯვა. ვიცოდი, ჩემი ნაწერი ყველა სხვის ნაწერებზე უხვირო იყო, მაგრამ მეგონა, რომ უფროსს, რომელიც ყველაფერში პირველათ მთვლიდა, ჩემი ნაჯღაბნიც კარგათ ეჩვენებოდა. აიღო ჩემი რვეული, გადაშალა სხვებისაც, შეადარა ნაწერები და ბოლოს სთქვა:

— პავლე პეტრეს ძე მართალია, თქვენ ძალიან უხვიროთ სწერთ და უთუოთ უნდა იმეცადინოთ.

— არ შემიძლიან, — ვუპასუხე მე.

— რატომ არ შეგიძლიანთ, თქვენ ნიჭიერი ყმაწვილი ხართ და ამისთანა უბრალო რასმეს როგორ ვერ შესძლებთ.

— იმიტომ, რომ პავლე პეტრეს ძე უსამართლოთ მექცევა... ვთქვი ეს და თვალები ცრემლებით ამევსო. უფროსმა, რასაკვირველია, არ იცოდა, რომ ეს იყო ცრემლები შეურაცხყოფილი თავმოყვარეობისა და დამიწყო დამშვიდება, დამპირდა კიდევ, რომ მოელაპარაკებოდა ჩემზე მილენსკის...

არ ვიცი, შეასრულა მან თავისი დაპირება, თუ არა, მე კი მეცადინეობა არაფერში შემეტყო; ჯიბრით უფრო უგულოთ ვეკიდებოდი წერას. პავლე პეტრეს ძე შემძულდა წინანდელზე უარესათ, რომ შესაძლებელი ყოფილიყო, თვალითაც არ დაეინახავდი. ვნატრობდი ხშირათ გუნებაში, რომ მისთვის რაიმე მევენო. ეს კარგი არ იყო; ეს იყო სამარცხეინო ნატვრა, რომლის მგზავსიც არ მქონია მე ჩემს სიცოცხლეში, მაგრამ ეს ახლა ასე იყო...

ჩემი მშობლები სოფელში სცხოვრობდნენ, ამისათვის მე დამყენეს ნათესავებთან, რომელთაც ეჭირათ კარგა მოზდილი სახლი მესამე სართულში. აქამდის ფიქრათ არ მომსვლია, რომ აქვე,



მეხუთე სართულში ჩემ მტერს ეჭირა სამი ოთახი, სადაც რის ვაი-ვაგლახით თავსდებოდა. მას ჰყავდა: დედა, დები, დის-წულები და ძმის-ძულები. მილენსკი თურმე არა-სანატრელ გარემოებაში იყო: ჯამაგირი ძალიან მცირე ჰქონდა, შესანახები კი ბლომათ აწვნენ კისერზე. ყველა ეს შემდეგში გავიგე შინაურებისაგან. სხვა უჩემოს—საწყალი მილინსკი შეეცოდებოდა ამ ამბის გაგონებაზე,—მე კი მომეტებული სიძულვილი ვიგრძენ მის-დამი, მეგონა, რომ ამ ხნის კაცმა უეჭველათ იმდენი უნდა იმო-ვოს, რომ სილარიბეში არ იყო. მაშინ მე არ მესმოდა ცხოვ-რება და მისი პირობები, ადამიანის წლოვანებას ვაქცევდი მხო-ლოდ ყურადღებას; რაკი ხნით დიდი იქნებოდა, სილარიბეს მას-თან ხელი არ ჰქონდა...

ერთხელ, როდესაც სასწავლებიდან ვბრუნდებოდი და დაუ-პირდაპირი ჩვენ სახლს, ჩემი ყურადღება მიიპყრო კედელზე გაკრულმა რაღაც განცხადებამ, რომლის შინაარსი კარგათ ვერ გავიგე, იმის და მიუხედავათ, რომ რამდენჯერმე წავიკითხე. იქ იყო ლაპარაკი რაღაც გარდასახადი ვალის შესახებ, მოყვანილი იყო სხვა და სხვა მუხლები კანონისა,—დასასრულ აცხადებ დენ, რომ ამა და ამ დღეს, ამა და ამ სახლში გაიყიდება მოძრავი ქონება. სახლის ნომერს დავაკვირდი კარგათ... სწორეთ ამ ნომერში ცხოვრობდა ჩემი მტერი—პავლე პეტრესძე მილენს-კი! მე ჯერ კიდევ კარგათ ვერ შემეგნო განცხადების შინაარსი, მაგრამ რაღაც სიხარულმა ამიტაცა. მილენსკის ქონების გაყიდ-ვას რათ უნდა მოეტანა ჩემთვის სიამოვნება, აქამდისაც ვერ გა-მიგია, მხოლოდ იმას კი ვგრძნობდი, რომ ეს მისთვის არა სასია-მოვნო იყო, თითქმის შესარცხვენი საქმე, და ეს მახარებდა!.. შინ შევედი, კარგათ გამოვკითხე შინაურებს, რას ნიშნავს როდესაც ქონებას უყიდიან ვისმე, რაღაც ვალების გადაუხდელობის-ვის მეთქი,—იმათაც ამიხსნეს.



ახლა მოუთმენლათ მოველოდი განცხადებებზე და აღნიშნულ დღეს და საათს. ჩემდა სასიამოვნოა — სწორედ ამ დღეს დღესასწაული იყო... პავლე პეტრესძეს ვატყობდი ბოლოს დროს, რომ ძალიან ჩაფიქრებული, დაღონებული შემოდოდა კლასში, შეგირდების ლაპარაკს თითქმის ყურს არ ათხოვებდა, ხშირათ ოხრავდა. ამის მიზეზი, რასაკვირველია, ჩემს მეტმა არავინ იცოდა. იმისი ასეთი მდგომარეობა მე მახარებდა, — დარწმუნებული ვიყავ, რომ ღმერთი უხდოდა ჩემ სამაგეროს. აი, ძლივს დადგა ის დღეც, რომელსაც ასე მოუთმენლათ მოველოდი, ამ დღეს ამხანაგებთან ერთათ მე წირვაზე უნდა წავსულიყავ, მაგრამ ავითმყოფობა მოვიგონე და შინ დავრჩი. გულის ღელვით მოველოდი რაღასაც, თვალ-ყური მიღენსკის სადგომისკენ მექირა; ავდიოდი ჩუმთ კიბეზე და ვათვალიერებდი ყველას... აი დაიწყო ხალხმა მოსვლა, ადიოდა ხალხი მეხუთე სართულში, ზოგი კაცი, ზოგი ქალი, ორიოდე ურიაც დავინახე. გული საშინლათ მიცემდა, მინდოდა ყველა ახლათ შემოსულისთვის სათითაოთ მეთქმევენებინა რისთვის მიდიან მიღენსკის სახლში...

საათის თორმეტი აუკვე! გაიღო უკანასკნელათ კარები და გამოჩნდა ერთი მალალი ტანის დარბაისელი, ქალარა კაცი, ჩანთით ხელში. ეს მოხელე იქნება, რომელიც აუწერს მიღენსკის ქონებას, გადავწყვიტე ჩემ გულში. მე კიდევ ვიდექი შემოსავალ კარებთან რამდენსამე ხანს და როცა შევამჩნიე, რომ სხვა აღარავინ მოდიოდა, — ავიარე ფეხ-აკრფით კიბეები და ავედი მეხუთე სართულში, პირველი ოთახის კარები მიღენსკისა ღია დაძიხვდა, მაგრამ აქ არავინ სჩანდა. შევედი ჩუმათ, ჩუმათვე მივიპარე მეორე ოთახთან, რომლის კარები ღია იყო და სჩანდა რაც ხდებოდა იქ. აგერ, ყველაფერი, რაც კი ჰბადებია მიღენსკის, ამ ოთახში მოუგროვებიათ ერთათ. ყველა იქ მყოფნი სათითაოთ შინჯავენ ნივთებს. კედელთან იდგა მოზღდილი ოთხ-კუთხიანი მაგიდა, რომელთანაც იჯდა ის მოხელე, ყველაზე ბოლოს რომ მოვიდა. წინ ეწ-



ყო მას: თავისი ჩანთა, ერთი თაბახი ქალაღლი და საწერ-კალამი; გულზე ჰქონდა ჩამოკიდებული სქელი ჯაჭვი. მე ვათვალთუვებდი: იქნებ იქნებ... ღლი ჰაღლე ჰეტრესძეს, მაგრამ იგი არსად სჩანდა. მესამე ოთახის კარი თუმც მადრათ იყო მოხურული, მაგრამ მაინც მოისმოდა იქიდან ჩუმი ლაპარაკი და დრო-გამოშვებითი ტირილი ქაღებისა. ეტყობოდა, იქ მოეყარათ თავი ერთათ მიღენსკის ოჯახობას; ალბათ თითონ მიღენსკიც იქ იყო, მათთან ერთათ სწუხდა თავის უბედურებას... მოხელემ წაიკითხა რაღაც ქალაღლი, შემდგე მიუთითა რომელღაც ნივთზე, ღააფასა და იკითხა:


— „ვინ იძღევა მეტსა?“ ხალხმა ჩოჩქოღლი შექნა; ზოგი რამდენს ამბობდა, ზოგი რამდენს. ყვეღანი დაჩუმიდენ.

— „შვიდი მანეთი და ორი აბაზი“, სთქვა ხმა-მაღღა მოხელემ.

— „ვინ აძღევს მეტს?“ არავინ აღარაფერი მოუმატა.

— „სავარძელი თქვენ დაგრჩათო“, — მიუბრუნდა ამ სიტყვებით მოხელე ერთ მაღალ ტანის, გრძელ ფარაჯაში გახვეულ კაცს. ასევე გაიყიღა სკამები, მაგიღები, ფარღები და ყვეღა სხვა, რაც კი რამ მოეპოვებოდა სახლში მიღენსკის. მე ბოღღომღის არ დაგრჩენიღვარ საყურებღათ, — სიხარულმა — დიღხანს არ გამაჩერა ერთ აღვიღს. თუ რა მღგომარეობაში ჩავარღებოდა ამის შემდგე მიღენსკი — მე ფიქრათაც არ მომღიღა. გაუყიღეს ყვეღაფერი იმას, ვისაც ჩემს მტრათ ვთვლიღდი, ამაზე ფიქრი მე სიამოვნების ჟრუანტულს მგვრიღა, ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, მხოღღოთ ვნანობღდი იმას, რომ თითონ მიღენსკი ვერ დავინახე, ვერ შევხვეღე პირღაპირ თვალღებში და არ ვაგრძნობინე ეს ჩემი სიხარული, ამით მიღღოდა გაღამეხანღა მისთვის სამაღიერო!..

მეორე დღეს განგებ დავიგვიანე კღასში. მიღღოდა მიღსულიყავ მიღენსკის შემდგე, რომ ის კღასში დამხვეღროღდა, ყურადღება მოექკიღა ჩემთვის, წაეკითხა ჩემ სახეზე ის, რომ მე ვიცოღდი გუშინღელი ამბავი, რითაც დიღათ ვსიამოვ-



ნები. აი რა აზრით ვიყავ გამსჭვალული, როდესაც ნელი ნები-
ჯით მივდიოდი გიმნაზიისაკენ.

შევედი კლასში და მივაჩერე თვალები პავლე პეტრესძეს. სწორეთ ამ დროს შევამჩნიე, რომ ისედაც უფერულს, მომეტე-
ბულათ დაჰკარგოდა ფერი, სიგამხდრისაგან თვალები ჩასცივნო-
და, დამინახა თუ არა, მითხრა: აი, თქვენ ყოველთვის იგვიანებთ
ხოლმე, ამიტომაც უხეიროთ სწერთო. მე, იმის მაგივრათ, რომ ჩემ
ადგილზე დავმჯდარიყავ, — შუა კლასში გავჩერდი, მეც არ ვიცი
რათ. — წადით დაფასთან და დასწერეთ რამე, წყნარათ მითხრა პავ-
ლე პეტრესძემ. მე სიხარულით გავეშურე დაფისკენ; რაღაც
კარგი აზრი მომივიდა თავში... მილენსკიმ თავი დამანება, შე-
გირდებიც თავისთვის სწერდენ და მე თავისუფლათ შემეძლო
წინადადების მოგონება. ცოტაოდენ ფიქრს შემდეგ, ავიღე ცარცი
ხელში და მსხვილი, ლამაზი ასოებით დავწერე:

— „ვინც ვალს არ იხდის, იმას სარჩო-საბადებელს უყი-
დიან“.

— გავათავე თუ არა, მილენსკი მობრუნდა და ხმა-მაღლა
წაიკითხა:

— „ვინც ვალს არ იხდის, იმას სარჩო-საბადებელს უყი-
დიან“. შემდეგ დამაშტერდა მე, გულ-ხელი დაიკრიფა და მკითხა:

— სად სცხოვრობთ თქვენ? მე დავუსახელე სახლი, — ჰო, მე
მახსოვს, მგონი ერთხელ კიბეზე შემხვდით. მე მაკვირვებდა იმისი
დამშვიდებული სახე, მისი ლაპარაკის კილო, რომლითაც მომმარ-
თა მან, მეკი სულ სხვა რამეს მოველოდი...


— აი, ხედავთ რაშია საქმე, მიუბრუნდა ის მოწაფეებს, — მე,
როგორც თქვენც იცით, ვარ მასწავლებელი სუფთა-წერისა.
ჯამაგირი მაქვს თვეში ოთხი თუმანი, შესანახები კი ბლომათ
მყვანან: მოხუცი დედა, დები, დისწულები, ძმის-წულები... მაშა-
სადამე, ღარიბი ვარ; და რომ გამოვკვებო ამდენი სული, იძუ-
ლებული ვარ ხოლმე ხანდახან ვალი ავიღო. რადგანაც მე ვერ
შევიძელ დროზე ვალის გადახდა, გამიყიდეს რაც-რამ მქონდა

სახლში. აი, ამას დაუნახავს ყველაფერი ეს და ამიტომ დასწერა ახლა ეს წინადადება. ამას ეგონა, რომ თქვენ გაიცინებდით, როცა წაიკითხავდით ამ წინადადებას და მე კი შემრცხვებოდა; მაგრამ ხომ ხედავთ, არც თქვენ იცინით და არც მე მრცხვენიან. მე კი მინდა, რომ ამან ახლა ეს წინადადება დასწეროს:

„ვინც იცინის მოყვასის სიღარიბეზე, ის... ამ დროს გაისმა ზარის ხმა; პავლე პეტრესძემ ხელი დაიქნია, შუბლი შეიკრა და საჩქაროთ დაატანა: დანარჩენი თითონ იცის, — დაგვიკრა ყველას თავი და გავიდა კლასიდან. ცოტა ხანს სამარისებური სიჩუმე იდგა. მე დაფასთან ვიდექი გაქვავებულსავით, თავ-ჩაღუნული. ახლაკი ვიგრძენ ჩემი ცუდი საქციელი... უცებ უკანა სკამიდან წამოდგა ერთი ჩემი ამხანაგთაგანი და მკაცრი ხმით დაიძახა.

„ის არის არა აღამიანი!“ მე შევეკრთი, თავი მაღლა ავიღე, თვალი შემოვავლე დანარჩენებს და იმათ სახეზედაც იგივე წავიკითხე. აკანკალებულის ხელით დავდე ცარცი თავის ალაგს და, როგორც მთვრალი კაცი, ბარბაცით გამოველ კლასიდან... მე აღარ ვიცი დაწვრილებით რაც მოხდა ამას შემდეგ. მახსოვს მხოლოდ ის, რომ ამავე საღამოს ჩემმა ნათესავებმა, ვისთანაც მე ვცხოვრობდი, კარგა ძებნის შემდეგ — მიპოვეს პავლე პეტრესძის სახლში, სადაც მე, იმის წინ პირქვე დამხობილი, გულ-ამომოჭდარი საშინლათ ვქვითინებდი. მილენსკი მამშივდივდა, თავზე ხელს მისვამდა, ტკბილის ხმით ჩამჩურჩულებდა: „არა უშავს-რა, ადექით ფეხზე, ეს კიდე იმას არ ნიშნავს, რომ თქვენ ცუდი ბავშვი ხართ; მე მომიტყევებია ყველაფერი, ჩვენ ამას შემდეგ კარგი მეგობრები ვიქნებითო“. ჩემმა ამხანაგებმაც რა შეიტყეს, რომ მილენსკი შემირიგდა, — მათაც ყველაფერი მაპატივეს!..

ქეთო ზარაფიშვილი



მარიამ დედოფალი

(ბარაზდინიდან)



მერეთის მეფე სოლომონი და სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი მოსაზღვრეები იყვნენ და ხშირათ, სულ უბრალო მიზეზების გამო, უსიამოვნობა მოსდიოდათ. ამ უსიამოვნობას ზოგჯერ ომიც მოჰყვებოდა და ორივე მხარე დიდად ზარალდებოდა.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში სოლომონმა დაამარცხა სამეგრელოს მთავარი. სამეგრელოს დიდი განსაცდელი მოელოდა. გრიგოლ დადიანმა, გაჭირვებისაგან რომ თავი დაეღწია, რუსეთს მიმართა და დახმარებისათვის ქვეშევრდომობა აღუთქვა. რუსეთმა სიამოვნებით მიიღო გრიგოლ დადიანის წინადადება და დიდძალი ლაშქარი გაგზავნა მთავრის მისაშველებლათ. რუსების მხედრობამ მეფე სოლომონის ჯარები სამეგრელოდან განდევნა და ის იყო იმერეთისაკენ გალაშქრებას აპირებდა. იმერეთი საშიშ მდგომარეობაში ჩავარდა. მეფე სოლომონმა დაუყოვნებლივ მოლაპარაკება გამართა რუსეთის მთავრობასთან. ამ მოლაპარაკებას ის შედეგი მოჰყვა, რომ იმერეთმა რუსეთის ქვეშევრდომობა აღიარა.

რუსების ჯარის ერთი ნაწილი ქუთაისში დაბანაკდა. სოლომონი უსიამოვნო თვალთ უყურებდა რუსებისაგან ახლათ შემოდებულ წეს-წყობილებას და ამიტომ საიდუმლო მიწერ-მოწერა გამართა ახალციხის ფაშასთან რუსეთის საწინააღმდეგოთ.

ეს მიწერ-მოწერა ჩაუვარდა ხელში მაშინდელ კავკასიის მთავარ-მართებელს — ტორმასოვს, რომელმაც მეფე დაუყოვნებლივ

ტფილისში დაიბარა. ტორმასოვმა სოლომონი ჩამოსვლისათვის შეინაურულათ დააპატიმრა.


მეფე სოლომონი მტკვრის ნაპირას, ორბელიანის სახლში, დააბინავეს. მეფეს თან ახლდა თავისი ერთგული მსახური ივანე სალარიძე.

მსახური დღეში რამდენჯერმე ჩადიოდა მტკვარზე წყლის ამოსატანათ. მსახურის ხშირათ სიარულს დარაჯები ისე შეეჩვიენ, რომ ბოლოს ყურადღებასაც არ აქცევდენ. მეფემ სალარიძის რჩევით ჩაიცვა თავის ერთგული მსახურის ტანთსაცმელი და თუნგით ხელში წყლის ამოსატანათ გაემგზავრა. მტკვარზე მეფეს შეკაზმული ცხენებით თავადები მოელოდენ და სოლომონი ახალციხის ფაშასთან გაიქცა.

მეფის გაქცევამ დიდი ალიაქოთი ასტეხა ტფილისსა და ქუთაისში. ბევრი დააპატიმრეს და, განსაკუთრებით, სასტიკათ მოექცნენ მეფის ერთგულ მსახურს ივანე სალარიძეს, რომელიც რამდენიმე თვის შემდეგ ციმბირში გაგზავნეს.

სოლომონის მეუღლე, მარიამ დედოფალი, დაუყოვნებლივ გაგზავნეს პეტერბურგში, სადაც იგი ერთ-ერთ მივარდნილ ქუჩაზე დაბინავდა და ძლიერ მყუდროთ სცხოვრობდა. დედოფლის ღირსებიანს, მუდამ გულკეთილ და მშვიდ სახეზე კაცი იშვიათათ დაინახავდა ღიმილს, იგი ყოველთვის მწუხარებით იგონებდა თავის წარსულს და ოსმალეთში გადრახვეწილ ბედშივე მეუღლეს.

1820 წელს მეფე სოლომონი ტრაპიზონდში გარდაიცვალა. ამ ამბავმა დედოფალი დიდათ შეაწუხა. დედოფალს ცოცხლათ წარმოუდგა ბედნიერი წარსული: მას ქმარი უსაზღროთ უყვარდა, ანკი როგორ არ უნდა ჰყვარებოდა ეს ქვეყნის ერთგული, ყოვლად პატიოსანი, გულკეთილი და ყველასათვის დასახმარი კაცი. დედოფლის მწუხარებას სახლდარი არა ჰქონდა: მან დაჰკარგა ყველაფერი, რაც კი წმიდათა-წმიდათ მიაჩნდა, დარჩა ერთად-ერთ




იმედით ციმბირში გარდახვეწილი მსახური ივანე სალარიძე, რომლის ნახვას იგი მოუთმენლათ მოელოდა.

ერთხელ სასახლეში დედოფალმა ხელმწიფეს სარალიძეზე ლაპარაკი ჩამოუგდო. „ხელმწიფეო“, დაიწყო დედოფალმა, „გთხოვთ მოილოთ თქვენი წყალობა იმ ბედშავ გლეხზე, რომელიც აგერ ათი წელიწადია ციმბირში იტანჯება. მე ვიწვი მისი უბედურობით, იგი ჩემთვის ძვირფასია, შეიწყალეთ და დამიბრუნეთ ის ბედშავი, რათა ჩემს ახლო სიკვდილის ჟამს მაინც ვიყოლიოვო“. ხელმწიფემ შეიწყნარა დედოფლის თხოვნა და აღუთქვა სალარიძის განთავისუფლება.

ამას შემდეგ დიდმა ხანმა განვლო, მაგრამ სალარიძე არსად სჩანდა. დედოფალმა გარდასწყვიტა, ჩემი ერთგული მსახური უთუოთ მკვდარიყო და, როცა სოლომონის სულს ლოცვის დროს იხსენიებდა, ამავე დროს სალარიძის სულსაც უფალს ავედრებდა.

ერთხელ დედოფალს მოახსენეს ვიღაც უცნობი, ლარიბათ ჩაცმული კაცი მოვიდა და თქვენს ნახვას თხოულობსო. დედოფალი ქველ-მოქმედებით გათქმული იყო: მასთან ხშირათ დადიოდნენ ლარიბნი და ლატაკნი შემწეობის მისაღებათ. დედოფალს ეგონა გაჭირვებული ვინმე იქნებოდა და უბრძანა შემოეყვანათ. სალარიძე შემოვარდა. დედოფალმა ერთის დანახვით იცნო თავისი ერთგული მსახური. გარდაეხვივნ ერთმანეთს და დიდხანს, დიდხანს გულ-ამოსკვნით ქვითინებდნენ. ცოტათი რომ დამშვიდდნენ, სოლომონ მეფის ერთგული მსახური დედოფლის ფეხითი ჩამოჯდა და უამბო მას ყველაფერი, რაც კი თავს გადახედოდა. დედოფალი, თვალებში ცრემლებ მორეული, მწუხარებით ისმენდა სალარიძის თავგადასავალის ამბავს.

— „აი, ხედავ, ივანე“, ასე დააბოლოვა სიტყვა დედოფალმა, „ჩვენ საერთო მწუხარებაში ღმერთმა არ დაგვაგდო და ერთმანეთს კიდევ შეგვყარა. შენზე უძვირფასესი მე არავინ მყავს დედამიწის ზურგზე. დაივიწყე, რაც ციმბირში მწუხარება გამოგივ-



ლია. ვილოცოთ ერთათ, ვიდრემდის ჩვენს მრავალ ტანჯულ სულს უზენაესს ჩავაბარებდეთ. ახლა, ჩემო ივანე, მოისვენე, დაღალული იქნები“.


დედოფალმა ივანე საწოლ ოთახის კარებამდის მიაცილა და ღმობიერათ გამოემშვიდობა.


დილით, როცა მსახური მოხუცის გასაღვიძებლათ ოთახში შევიდა, საბრალო ივანე მკვდარი დახვდა: საწყალს მეტი აღელვების გამო გული გასკდომოდა და გარდაცვლილიყო.

უღმობელმა სიკვდილმა ასე მოულოდნელათ მოსტაცა მრავალ ტანჯულ დედოფალს უკანასკნელი ძვირფასი არსება.

ერთგული მსახურის სიკვდილმა დიდათ დაამწუხრა დედოფალი, იგი მყისვე ლოგინათ ჩავარდა და რამდენიმე თვის შემდეგ ისიც გარდაიცვალა.

ა. ეუმისთაველი.





ზატარა მკითხველების წერილები.

ქ. თფილისი.

საყვარელო რედაქცია!

მე წავიკითხე იენისის ნომერში ყველა მოთხოვნები და ლექსები, ყველა ძლიერ მომეწონა. მაგრამ საუკეთესოთ კი მიმაჩნია „ჩიტის სიმღერა“, „ყვავილების გამყიდველნი?“, „პირველი სარდალი რუსეთისა“.

თქვენი მოსიყვარულე „ჯეჯილის“ მკითხველი მარიამ კვალაიშვილი
(9 წლისა).

ს. ჭოლევი.

საყვარელო „ჯეჯილის“ რედაქტორო!

მე ჩემ სოფელში, ჭოლევი ვარ. მე როცა ვიყავი ქუთაისში იქ იყო სეირნობა ფერმაში, იქ თამაშობდნ ბავშვები და მე ბევრი ვიმხიარულე. მე ძალიან მომეწონა მეექვსე ნომერში „შავი მხედრობა“, ძალიან გამიხარდა, რომ ამისთანა კარგი ზღაპარი წავიკითხე. მე მყავს ორი ტიკინი, ერთი ქალიშვილია და მეორე ვაჟიშვილი. და იმგენის ქორწილი იქნება ქუთაისში. ჩემი მახურკა კატა ვლადიკავკავშია და ახლა მოიყვანებენ ქუთაისში. იმას ჰყავს ჭრელი ცინდალი, რომელსაც ქვია კრიკრი. ახლა მე მინდა თამაში და მშვიდობით.

თქვენი მოსიყვარულე „ჯეჯილის“ მკითხველი თამარა ტიკინაძე
(8 წლისა)



სოფ. კასპი.

ჩემო ძვირფასო „ჯეჯილის“ რედაქტორო!

მე მივიღე „ჯეჯილი“ და ძალიან მომეწონა ყველა ჩემ ამხანაგებს ურჩევ გამოიწერონ. მე-5 ნომერში წავიკითხე რებუსი. თუ არა ვცდები ასე უნდა იყოს: „გულ ბორბტ კაცსა ერიდე ნუ გავლი მისსა მხარესა“.

კოლა ამილახვარი (9 წლისა).

ყვირილა.

ძვირფასო „ჯეჯილის რედაქტორო!

მე წავიკითხე „ჯეჯილის“ მე-VI № ყველა მოთხრობები და ამბები, მათში უფრო მომეწონა, „ჩიტის სიმღერა“, „ყვევილების გამყიდველნი“, „ტობი“, „რა მოხელეა?“, „სამი პეპელა“, პატარა მოგზაურობა“ და „პირველი სარდალი რუსეთისა“.

თქვენი ერთგული „ჯეჯილის“ მკითხველი გრიგოლ ჩხეიძე. (8 წ.)

სოფ. ხოვლე.

საყვარელო რედაქტორო!

წავიკითხე იენისის „ჯეჯილი“ და ძალიან მომეწონა: „ჩიტის სიმღერა“, „სად დაიკარგა ჩვენი ზღარბუნა?“ და „სამი პეპელა“. აქნობამდისინ ვერ მოგწერეთ წერილი, იმიტომ რომ მარჯვენა ხელის გულზე მქონდა დიდი მუწუკი. მე მყავს კატა, რომელსაც ჰქვია დარიჩკა. მე გავხდები შვიდი წლისა, ოცდაექვს ენკენისთვის. მე მარტო ვიცი ქართული წერა-კითხვა და ოცამდის თვლა.

თამრო წერეთელი.

სოფ. აჯიკენტი (განჯა).

საყვარელო რედაქტორო!

მე წერა-კითხვა ეხლახან ვისწავლე. „ჯეჯილში“ მომეწონა: „სამი პეპელა“, „ტობი“, „შავი მხედრობა“ და „ჩიტის სიმღერა“.

გოგია ბაქრაძე (7 წლისა)


სოფ. აჯიკენტი (განჯა).

საყვარელო რედაქტორო!

ჩვენ საზაფხულოთ აჯიკენტში ამოვედით. აქ ძალიან ცივა, ხშირათ წვიმები და ბურუსი არის. როცა კარგი დარი არის, ჩვენ ტყეში დავდივართ სასიეროთ და სოკოებსა ვკრეფავთ. გუშინ ძალიან შორს მყავე წყალზე ვიყავით. მე ძალიან მომეწონა „ჯეჯილში“ „შავი მხედრობა“.

ქეთო ბაქრაძე (8 წლისა).





ა კ რ ო ს ტ ი ს ი

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან)

მინდვრიდან გლახებს ძნა მოაქვთ,
 კალოზე სიხარულითა,
 აგერ ჩაშალეს, ლეწავენ
 თითონვე ყრიამულითა.
 ამინდი კარგი უდგიათ,
 თვითვე ხარობენ გულითა!
 ვუსურვოთ, ღმერთმა ამყოფოთ
 ერთობით, სიყვარულითა!..

—

მზის სხივები დედა-მიწას,
 აგერ სიციხით თავს დაჰყურებს,
 რომ ქვეყანა ნაყოფს ელის
 იმიტომაც გულს უხურებს.
 აგერ გლახი სიმინდს უვლის,
 მისცემს იგი მჭადის პურებს;
 ოხრავს რადგან დედა-მიწა
 ბევრი ხანი იმსახურებს.
 იგი ახლა ვენახსაცა
 სამუშაოთ მიაშურებს,
 თავს მოსავლით იმედს აძლევს;

ველარავის მოიმღურებს,
ერთი ღმერთი შესწევს მხოლოთ,
აწ ვინ გააუბედურებს!..

ანდაზები

(წარმოდგენილი დ. თომაშვილისაგან).

კაცი ზღვას გადაურჩა და ცვარმა კი დაახრჩო.

დედმამა შვილისთვის კვდება, შვილი კი მხოლოთ თავისთვისო.

(წარმოდგენილი ა. ჭანტურიძისაგან)

ვინც წყალზე გადვა პატარა ხიდიო,
მადლი ქნა ერთობ დიდიო.

მიმინო რომ გაძღებო, ხელზე აღარ დადგებო.

(წარმოდგენილი კ. სეხნიაშვილისაგან).

ვირმა ზურგის ფხანაში, კოჭლი ფეხი გაისწორა.

დათვი ძილს იყო მიცემული, თავგები სამარეს უთხრიდნო.

ვირმა ყროყინი, რომ არ იცოდეს პატრონს როგორ გააგე-
ბინებდა აქა ვარო.

გამოცანები

(წარმოდგენილი ვ. საყვარელიძისაგან).

უფეხო ვარ, მივრბივარ.
ფრთები არ მაქვს მივფრინავ,
ქვეყანა რომ დამესიოს,
მაინც ვერ დამიჭირავს.



მრგვალი ვარ და კუზიანი,
 გარს მასხია მცველებია,
 თუ რაიმე ჯავრი შემხვდა
 წყალში ვცურავ-ვსველდებია.

ზ მ ა

(წარმოდგენილი მისგანვე)

უმაღურო რისთვის მოხველ?
 — შენსა მოველი, შენსა ტანადობას ვეახელ
 და შენი უდასტურო ვერ წავალ

(წარმოდგენილი კ. ფრონისპირელისაგან)

პატარა კახმა ანდამატივით
 გარს შემოისხა ყმაწვილ კაცობა,
 და მათ უჩვენა სამაგალითო
 დიადი ღვაწლი და მამაცობა

ჩქარა გამოსათქმელი

(წარმოდგენილი კ. სენიაშვილისაგან).

შავმა თხამა, შავ-რქიანმა მოიშავრქა მოიშავტყიანა.
 ჩინელმა ნაჩინელევმა გადაიჩინელ გადაინაჩინელევა.

ან ა გ რ ა მ ა

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან)

თუ მოგვაშორეს პირველი
 მოკვდება ჩვენი სხეული;
 კიდევ აგვტკივა თუ ვინმე
 დაგვჩაგრავს მტერი წყეული.
 მეორის ჭამას ყოველთვის
 საქონელია ჩვეული;



ხმელია უფერულია,
სინედღეს გამოღეული;
ორივე ოთხი ასოთი
საწერათ ანაზღელი.

სიტყვების ამოცანა.

(წარმოდგენილი ყვრ. ნორ. სას. მოსწავლე გ. ჩხაიძისაგან).

ქვემო მოყვანილი ციფრები გადაიღეთ ქართულ ქორონიკონათ და იმ ასოებით შეადგინეთ ერთი ჩვენი მწერლის სახელი და გვარი. 1, 30, 5, 600, 200, 1, 50, 4, 100, 5, 800, 1, 7, 10, 2, 5, 3, 10.

შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან).

პირველი სიტყვა იმერულია,
ჰოს მაგიერათ ხშირათა ეხმარობთ.
მეორე მაწვნის შექამაღია,
იმის ჭამასა არავინ ეზარობთ.
მესამე სახლის სახურავია,
მის მეოხებით წვიმაში ეხარობთ;
მთლათ ფიცრის ვეჯი, პურის მფარველი,
ცალიერზედაც ხშირათა ვჯავრობთ.

რ ე ბ უ ს ი



მ

ვირის
ხმა

რ




უარი



ქართული
ენციკლოპედია

ი



ე

შენი
ქონებისა
რა ხარ?

სკ

ს



მ



ხვეწნა,
მულარა.

კოლის
მული.

პ



რ


ო

ახსნა „ჯეჯილი“ № VI-სა.

აკრასტისი: წ. ქეთევან დედოფალი.

გამოცანები: 1) ნამყენი, 2) ფუტკარი, 3) წინდის ჭხირები.

უჯრების ამოცანა:



ანაგრამა: ქარი—ქირა.

რეზუსი: მარტო ხელ კაცს ქამაშიაც შეიცოდებენ,

აკრასტისი, გამოცანები, უჯრების ამოცანა, ანაგრამა და რეზუსი
ახსნეს: თბილისში, მარიამ კვალიაშვილმა და სათავედ აზ. სკ.
მოსწავლემ ი. ტატიშვილმა. ქუთაისში: რეალურ სასწ. მოსწავლემ
გრ. ახრახაძემ. ყვირილის ნორმა. სასწ. მოსწ. გრ. ჩხაიძემ. ფო-
თის სამოქალაქო სკოლის მოსწავლემ თედ. ფარალავამ.

რედაქტორ-გამომც. ან. თ.-წყნეთელისა

საქმაწვილო-ნახატებიანი ჟურნალი

„ჯ ე ჯ ი ლ ი“

წელიწადი მთავრდება

გამოვა 1900 წელსაც თვეში ერთხელ იმავე ზრგ-რამით, როგორცაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თფილისის საქ-ზარქო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლის სამკითხველთაში საკითხავათ.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს 4 მან. თფილისს გარეშე გავზავნით 5 მან. ცალკე ნომერი 50 კაზ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) თფილისში—„წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101), და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса)

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*